ოქმი:**ო12. 3723061001**

თარიღი:**02/03/2023**

ოქმი №4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2023 წელი, 28 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

16.00-17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქეთევან ხომერიკი- კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვლ. ხავთასი, მ. ჩხიკვიშვილი, ნ. სარჯველაძე, ხ. თავდიშვილი, მ. ვაშალომიძე, ნ. ნადირაშვილი, ქ. ვასაძე, ე. გორდელაძე, ი. თუთბერიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: ე. სიმონიშვილი

2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს“ (კოდი 04 03 01) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: ლ. სიჭინავა

3,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ” - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 იანვრის 62 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: მ. ცელაძე

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: მ. ცელაძე

5. "ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის(ორგ.კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ" ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 ივლისის N25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: ლ. თავაძე

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობა ეპიდემიური, ინფექციური და სხვა სახის დაავადებების წინააღმდეგ, ხოლო უფრო ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა ე. სიმონიშვილმა. აღნიშნა, რომ ინფექციური დაავადებების გავრცელების საფრთხეს ზრდის მაწანწალა ძაღლების სიმრავლე, გახშირდა დადორბლვის, დაკაწვრისა და დაკბენის შემთხვევები, დაფიქსირდა 12 ათასზე მეტი კოვიდშემთხვევა, საგულისხმოა, რომ მუნიციპალიტეტში გარდაცვალების რაოდენობა გაცილებით უსწრებს შობადობას და სხვა. კომისიის წევრებმა დამაკმაყოფილებლად შეაფასეს ინფორმაცია და მიიღეს ცნობად.

კომისიის წევრმა მ. ჩხიკვიშვილმა დამაკმაყოფილებლად მიიჩნია ცენტრის მიერ გაწეული მუშაობა და დასვა შეკითხვა-რატომაა მუნიციპალიტეტი მალარიის გავრცელების საფრთხის წინაშე? განუმარტეს, რომ ბევრია დაჭაობებული ადგილები და წყალასატევები.

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს გაცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, შეტანილ ცვლილებებზე კონკრეტულად ისაუბრა თანამომხსენებელმა ლ. სიჭინავამ, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე კონკრეტულად ილაპარაკა თანამომხსენებელმა მ. ცელაძემ, ყურადღება გაამახვილა შეტანილ ცვლილებებზე. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ამ პროექტსაც. მანვე ისაუბრა დღის წესრიგის მე-4 საკითხზეც, კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ამ პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას.

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს გაცნო დღის წესრიგის ბოლო საკითხი, თანამომხსენებელმა ლ. თავაძემ კი კონკრეტულად -შეტანილი ცვლილებები, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას.

გადაწყვიტეს:

1.დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N2,3,4,5 საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს მიერ გაწეული მუშაობა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად და მიღებულ იქნას ცნობად.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი